საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების.)

„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

# კომუნისტი

კვირა, 7 ნოემბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. ფიზიკური ხელის მომწერთათვის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 88 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 88

# 7 ნოემბერი (25 ოქტომბერი) მესამე წლის თავი დიადი პროლეტარული რევოლიუციისა.

## გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.
## გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას.
## გაუმარჯოს მესამე, კომუნისტურ ინტერნაციონალს.
## გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდს-რუსეთის მუშათა კლასს.
## გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

## მესამე წლის თავი პროლეტარული რევოლიუციისა

სამი წელიწადია ქვეყანას არყევს უდიდესი მოვლენა, რომლის მსგავსი თავისი არსებობის დღიდან მხცოვან დედამიწას არ განუცდია და ცხრა-თვალა მზის სხივებს არ გაუშუქებია. ამ მოვლენის სახელია მსოფლიო რევოლიუცია, მისი მომქმედი პირია მსოფლიო პროლეტარიატი, მისი უმთავრესი გმირია რუსეთის მუშათა კლასი.

სამი წელიწადი და როგორი სამი წელიწადი! ამ ხნის განმავლობაში ისევე შეუწყვეტლად იხარჯებოდა რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური ენერგია, როგორც შეუჩერებლად სწარმოებდა თვით დროს მიმდინარეობა. არ ყოფილა არც ერთი დღე, არც ერთი წუთი, არც ერთი სულის მობრუნება, რომ ერთხელვე ბრძოლაში ჩაბმულ რუსეთის მუშას წილათ რგებოდა თუნდ მცირედი შესვენება, რომ მას გამოეცადა თავის მოქმედების თვით ოდნავი შენელება.

სამაგიეროთ რა არ გამოუცდია, რა არ უნახავს, რა არ გადაუტანია ამ ხნის განმავლობაში ამ საბრალო გმირს, ამ უძლეველ ისტორიულ ძალას. პირველ ყოვლისა უთვალავი გამარჯვება ძლიერ მტერზე, რომელსაც მთელი ქვეყანა ფეხ-ქვეშ ეგებოდა და თვით ზეცაც სწყალობდა და მფარველობდა. ვინ დასთვალოს ის ურიცხვი შავ-ბნელი ძალა, რომელსაც წინ მოუძღოდენ კერენსკი, კრასნოვი, კორნილოვი, კალედინი, დუტოვი, ალექსეევი, კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი, ვრანგელი; ვინ აღრიცხოს ის შინაური აჯანყებანი და კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობანი, რომელსაც აწყობდენ შავი გენერლები, ანტანტის ოქროთი მოსყიდული ხულიგანები, ბურჟუაზიული კადეტები, წვრილ-ბურჟუაზიული ესერები, მენშევიკები, ანარქისტები; ვინ აღნიშნოს ის ჭრილობები, რომლებიც მას მიაყენეს გერმანია-ავსტრია ოსმალეთის იმპერიალისტებმა; ვინ იანგარიშოს ის უამრავი ფრონტები, რომლებიც შინ და გარეთ მოუწყვეს მას ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და იაპონიის გათახსირებულმა დიპლომატებმა. მიუმატეთ ამას ბლოკადა, შიმშილი, სიცივე, ეპიდემია, იმპერიალისტური ომის მიერ დანგრეული მეურნეობა, განადგურებული საწარმოვო ძალები და ყველა ის სტიქიონისებური ულმობელობით თავს-დატეხილი უბედურება, რომელიც მის სამოქმედო ასპარეზს გარს ერტყა. ნუ დავივიწყებთ იმ ზნეობრივ სიბინძურეს, იმ მოშხამულ ისრებს, რომლითაც მას, ოფლით და სისხლით შეღებილს, დახმარების და თანაგრძნობის ნაცვლად უმასპინძლდებოდენ ევროპის რენეგატ-სოციალისტები. წარმოიდგინეთ ეს ჯერ დაუთვლელი, ჯერ აღურიცხველი, ჯერ აუწონელი და გაუზომავი მატერიალურ-სულიერი რაოდენობანი და იქნება მიიღოთ მეტათ მკრთალი სურათი იმ დიადი სანახაობისა, რომელსაც ამ სამი წლის განმავლობაში დაუღალავათ ქმნის ბრძოლაში გამობრძმედილ-გამომწვარი რუსეთის პროლეტარიატი.

ქვეყანას არ ახსოვს მსგავსი რამ. შინაურ წინააღმდეგობებით აფეთქებული ის გაიპო ორათ და მისი გამთელება შეუძლია მხოლოთ პროლეტარიატის გამარჯვებას. ბურჟუაზიული ქვეყანა უფრო და უფრო ითიშება, პროლეტარული ქვეყანა სულ უფრო მჭიდროთ კავშირდება და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატი თავისი გამოწვრთნილი რაზმის ხელმძღვანელობით შემოკრბება ერთ ასპარეზზე, ერთ ველზე და თავისი ძლიერი ხელით დიდებულათ დააბოლოვებს უკანასკნელ აქტს თანამედროვე ისტორიული ეპოქისა.

მოწინავე რაზმი არ იღლება, მაგრამ მას უჭირს მთელი ქვეყნის სიმძიმის ზიდვა. მის საშველათ მიეშურებიან მთელი ქვეყნის პროლეტარიატის რაზმები და ამ სანახაობის მაყურებელი ძრწის ძველი ქვეყანა მონობისა, ჩაგვრისა და ქიშპობისა.

სამი წელიწადია ქვეყანას არყევს მსოფლიო რევოლიუცია და არც შესწყვეტავს თავის აბობოქრებულ ძალთა ბრძოლას, სანამ მთლათ არ გადააბრუნებს ძველ ქვეყანას, სანამ ძირიან-ფესვიანათ არ გარდაქმნის მას, რომ მის ნანგრევებზე დაამყაროს ახალი ქვეყანა თავისუფლებისა, ძმობისა და თანასწორობისა.

სამი წელიწადია, რაც დაიწყო და სწარმოებს დიადი პროლეტარული რევოლიუცია. 1917 წლის 7 ნოემბერი (ძველი სტილით 25 ოქტომბერი), ეს დღე რუსეთის პროლეტარიატის მიერ ძალა უფლების დაპყრობისა, ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღია ისტორიის მატიანეში. ეს არის დასასრული აუცილებლობის სამეფოსი და დასაწყისი ახალი ქვეყნის,—თავისუფლების სამეფოსი. დღე ძრწოდეს ძველი ქვეყანა, პროლეტარიატი იძენს და ქმნის ახალ ქვეყანას.

გაუმარჯოს მის ბრძოლას, რომელიც ახლო მომავალში უფრო დიდი სახით გადაგვეშლება თვალწინ! გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

## საბჭოთა რუსეთი და მცირე ერები

კომუნისტური პარტია ჯერ კიდევ დევნილი პარტია იყო, როდესაც მან წამოაყენა ეროვნული თვით-გამორკვევა, როგორც ერთი ძირითადი მოთხოვნილება თანამედროვე ცხოვრებისა. ეს ერთად ერთი პარტია იყო ყველა სოციალისტურ პარტიათა შორის, რომელმაც ამ დებულებას მისცა შესაფერი შინაარსი, რომელმაც მიუკიბ-მოუკიბავათ, აშკარათ და გულ ახდილათ აღიარა, რომ ამ პრინციპის მიხედვით ყოველ ერს აქვს უფლება სრულიათ გამოეყოს არსებულ სახელმწიფოს და შექმნას საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ყველა სხვა სოციალისტური პარტიები, თვით დაჩაგრულ ეროვნებებიდან გამოსული წარმომადგენლებიც ვერ ბედავენ ასე შორს წასვლას და თვით იდეა ეროვნული თვით გამორკვევისა მათ მიაჩნდათ ან განუხორციელებელ უტოპიათ ან ბუნდოვან და კონკრეტიულ შინაარსს მოკლებულ მოთხოვნილებად.

მაგალითისთვის დავასახელოთ ჩვენი ფედერალისტები,—ეს წვრილ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური პარტია, რომლის უმთავრეს პროგრამულ მოთხოვნილებას ეროვნული თავისუფლება წარმოადგენდა და რომელიც თავის ნაციონალურ სულს სოციალისტური სალებავით ალამაზებდა. ამ პარტიის მოთხოვნილება იყო საქართველოს ავტონომია რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში და ფედერატიული კავშირი რუსეთის შემად გენელ ეროვნებათა. აქ ლაპარაკიც არ არის საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, რომელიც დღეს ამ პარტიას თავისი იდეალების განხორციელებათ მიაჩნია. მსგავსი მოთხოვნილების წამოყენება მაშინ ამ პარტიისთვის ქვეყნის დაქცევას და სხვა საშინელებას უდრიდა.

ასეთივე გაურკვევლობის, გაუბედაობის და ფრთა-შეკვეცილობის სურათს წარმოადგენდა ყოველ სხვა პარტიათა პოზიცია ამ საკითხში. რამდენათაც მათ წილათ ხვდათ ეროვნულ თვით-გამორკვევის პრინციპს პრაქტიკულათ შეხებოდენ, მათ გამოააშკარავეს, რომ ისინი სავსებით დგანან მპყრობელ ბურჟუაზიის გავლენის ქვეშ და მით სავსებით უარყოფენ ეროვნულ თავისუფლების შესაძლებლობას.

შეიცვალა დრო. კომუნისტები დევნილი პარტიიდან ძალა-უფლების მქონე პარტიათ შეიქნენ, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რუსეთი საბჭოთა რუსეთათ იქცა. აქ სავსებით გამოაშკარავდა მთელი სიყალბე მოწინააღმდეგე პარტიების მტკიცებისა, თითქო კომუნისტები ეროვნულ თვით გამორკვევის პრინციპს მიმართავდენ მხოლოთ როგორც დემაგოგიურ ფანდს, როგორც ხალხის მოსაბირებელ საშუალებას.

საბჭოთა რუსეთი მტკიცეთ დადგა ამ პრინციპის პრაქტიკულათ განხორციელების გზას და ოდნავაც არ გადაუხვევია ერთხელ აღებული მიმართულებიდან. როგორც წინათ სხვა პარტიათა შორის კომუნისტურ პარტიას ბადალი არ ყავდა ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის დაცვასა და თეორეტიულათ დასაბუთებაში, ისე ახლა არსებულ სახელმწიფოთა შორის საბჭოთა რუსეთს ბადალი არა ყავს ამ პრინციპის შეუზღუდავათ განხორციელების საქმეში. მან საქვეყნოთ აღიარა, რომ რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ერებს სრული უფლება აქვთ ისე მოაწყონ თავისი საქმე, როგორც სურთ, უფლება აქვთ სრულიათ გამოეყონ მას და შექმნან საკუთარი სახელმწიფო. და ამ განცხადებამ საშინელი კბილთა ღრჭენა გამოიწვია არა მარტო რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის მხრით, არამედ თითქმის ყველა იმ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოებშიაც, რომელთაც თითქოს არაფერი ეკარგებოდათ აქამდე დაჩაგრულ ერების განთავისუფლებით.

მაგრამ საბჭოთა რუსეთმა არა მარტო აღიარა ეს პრინციპი. მაშინ როდესაც ბურჟუაზიულ-იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ლიტონი სიტყვაც არ ემეტებოდათ ერების განთავისუფლებისათვის, საბჭოთა რუსეთი დაუღალავათ ქმნიდა მის განხორციელების შესაძლებლობას. საქმე იმაშია, რომ თავისუფლების მოსურნე წვრილი ერები თავის კლანჭებში ჩაიჭირა ქვეყნის მყლაპავმა იმპერიალიზმმა და პირიქით მიუსია მათი სუსტი ძალები მათ განმათავისუფლებელ პროლეტარულ სახელმწიფოს. საბჭოთა რუსეთმა სრული ანგარიში გაუწია შექმნილ მდგომარეობას და იგერიებდა რა შემოსეულ წვრილი ერების თავდასხმას, თვით ენერგიულათ ესხმებოდა თავს მათ წამქეზებელ იმპერიალისტურ ძალებს. ამ უკანასკნელთა დამარცხებით და მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიიდან მათი განდევნით საბჭოთა რუსეთი ქმნიდა ერთათ ერთ რეალურ გარანტიას ამა თუ იმ ერის მართლა დამოუკიდებლობისა და ზავით ეკვროდა მას, როგორც თანასწორი თანასწორს.

რომ საბჭოთა რუსეთი ხელაღებით და უანგაროთ იცავს ეროვნულ თავისუფლებას, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ მან საკუთარი ხელით განახორციელა ისეთი ჩამორჩენილი ხალხის ავტონომია, როგორსაც წარმოადგენენ ბაშკირები. და მთელი აღმოსავლეთის მოძრაობა, რომელშიაც ასეთ ცხოველ მონაწილეობას იღებს საბჭოთა რუსეთი განა იმას არ ამტკიცებს, რომ ეროვნული თავისუფლების ერთათ ერთი სერიოზული და ერთგული დამცველი მხოლოთ პროლეტარიატია?

და არც შეიძლება სხვანაირათ იყოს. პროლეტარიატი ვერ გაინთავისუფლებს თავის თავს, თუ ამავე დროს მან არ გაანთავისუფლა კაცობრიობა ყოველგვარი მონობისაგან და სხვათა შორის ეროვნული მონობისაგან.

რუსეთის პროლეტარიატი, ეს ერთათ ერთი რაზმი საერთაშორისო პროლეტარიატისა, რომელსაც ჯერჯერობით ხელთ უპყრია პოლიტიკური ძალა-უფლება და სოციალიზმის მშენებლობაშია ჩაბმული, წარმოადგენს დღეს ერთათ ერთ ძალას, რომელიც საქმით და არა მარტო სიტყვით სცნობს და ახორციელებს ეროვნულ თავისუფლებას. საბჭოთა რუსეთის მიერ სამი წლის განმავლობაში წარმოებული ნაციონალური პოლიტიკა ამის უტყუარი დამამტკიცებელია.

## მსოფლიო რევოლიუციის ეტაპები.

როდესაც 1917 წელს თებერვალში რუსეთში იფეთქა რევოლიუციამ, რუსეთის პროლეტარიატი მარტო იყო. მართალია, სხვა ქვეყნების მუშები თანაუგრძნობდენ ამ რევოლიუციას, მაგრამ ეს თანაგრძნობა იყო წმინდა პლატონიური. არც ერთ მოქმედებით დასავლეთ ევროპის მუშები არ უჭერდენ მხარს რუსეთის რევოლიუციის ლოზუნგებს.

ძალიან ჩქარა ვითარდებოდა რუსეთის რევოლიუცია თებერვლიდან ოქტომბრამდის. უფრო რადიკალური ხდებოდა მისი ლოზუნგები. ყოველ დღე

# 7 ნოემბერი (25 ოქტ.) დიადი ზეიმის დღე

ღებულობდა ის პროლეტარულ და სოციალისტურ ხასიათს. უფრო გადამწყვეტად აყენებდა ის თავის თავს მსოფლიო რევოლიუციის მეთაურად.

დასავლეთში კი პირობები მწიფდებოდა ძალიან ნელა. ამისათვის რუსეთის რევოლიუციის ყოველი ნაბიჯი აცილებდა მას დასავლეთ ევროპის პროლეტარიატისაგან. ბოლშევიკურ ლოზუნგებს იქ ხვდებოდენ უმეტეს ნაწილად უსიამოვნოდ, ხანდისხან კი აღშფოთებითაც. როდესაც დასჭექა ოქტომბრის რევოლიუციის მეხმა, მას არ გამოეხმაურა დასავლეთიდან მცირე გამოძახილიც კი. როდესაც გერმანიის იმპერიალისტები 1918 წლის თებერვალში უტევდენ საბჭოთა რუსეთს, ამას არ აღუდგა წინ არც გერმანიის და არც ავსტრიის პროლეტარიატი.

1918 წელს შემოდგომაზე დაიმსხვრა გერმანიის იმპერიალიზმი. ნოემბრის დასაწყისს იფეთქა რევოლიუციამ გერმანიაში, ავსტრო-უნგრეთში და ბულგარეთში. მაგრამ ამ რევოლიუციებში ძალიან ცოტა გავლენა ქონდა პროლეტარულ იდეებს. ეს რევოლიუციები წავიდნენ არა შეთანხმების გზაზე, არამედ ბურჟუაზიის ლაქიობის და დამსახურების გზაზე. რუსეთის პროლეტარული რევოლიუცია ისევ მარტო რჩებოდა.

1919 წლის მარტში მოსკოვში შეიკრიბა პირველი ყრილობა კომუნისტურ ინტერნაციონალისა. მას ქონდა, რა თქმა უნდა ვეებერთელა მნიშვნელობა, როგორც პირველი ცდა კომუნისტურ ორგანიზაციების გაერთიანებისა. მაგრამ ყველა ორგანიზაციებიდან, რომლებსაც იქ ყავდათ თავიანთი წარმომადგენლები მარტო ერთი რუსეთის კომუნისტური პარტია წარმოადგენდა სერიოზულ მასიურ ორგანიზაციას. დანარჩენ ქვეყნებიდან კი იყვნენ პატარა ჯგუფების წარმომადგენლები, მომავალ პარტიის ჩანასახებიდან. რუსეთის რევოლიუცია თავის პროლეტარულ, რევოლიუციონურ მისწრაფებებში იყო ისევ მარტო.

საბჭოთა რუსეთის ყველა ძალები ებრძოდენ რუსეთის თეთრგვარდიელ გენერლებს. ბრძოლა იყო სამხრეთით, აღმოსავლეთით. ამ მიმართულებებზე საბჭოთა რუსეთი იმარჯვებდა და ავიწროებდა მის მოწინააღმდეგეებს. უარესათ იყო საქმე დასავლეთით. აქ თეთრგვარდიელების პოლონეთი უტევდა და იკავებდა ახალ ტერიტორიებს. თეთრგვარდიელების ქსელი რუსეთის პროლეტარიატის და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის შუა უფრო დიდდებოდა.

საბჭოთა რუსეთი წავიდა დასავლეთ ევროპის პროლეტარიატიდან აღმოსავლეთისაკენ. ეს მოვლენა იმუქრებოდა იმით, რომ საბჭოთა რუსეთის გავლენა ევროპის პროლეტარიატზე შესუსტდებოდა. დასავლეთ საზღვრებზე საბჭოთა რუსეთი აწარმოებდა მხოლოდ თავდაცვითი ომს.

1920 წლის გაზაფხულზე საბჭოთა რუსეთმა ბრწყინვალეთ გაიმარჯვა ყველა თეთრ გვარდიელ გენერლებზე, რომლებიც გამოვიდენ როგორც ანტანტის მონა-მორჩილი აგენტები. მაგრამ ანტანტას არ შეეძლო შერიგებოდა რუსეთის რევოლიუციის ბრწყინვალე გამარჯვებას. მან ეხლა მიუსია საბჭოთა რუსეთს პოლონეთის პანები. ამ დროს რუსეთის რევოლიუციას პირველათ მოუხდა გალაშქრება არა რუსეთის, არამედ უცხოეთის კონტრ-რევოლიუციის ძალების წინააღმდეგ. სამოქალაქო ომი, რომელიც ამ დრომდის ნაციონალურ მაშტაბით სწარმოებდა, ეხლა საერთაშორისო ასპარეზზე გადავიდა. ამან გამოიწვია ინტელიგენციის წრეებში პატრიოტული გრძნობების აღტყინება და მათი საბჭოთა მთავრობასთან შერიგების მისწრაფებები. შიგ რუსეთში გაძლიერდა საბჭოთა მთავრობის პოზიცია. პოლონეთთან ომი დაიწყო, როგორც თავდაცვითი ომი, მაგრამ შემდეგ ეს ომი გახდა შეტევითი ომათ. წითელი არმია წავიდა დასავლეთისაკენ. ამ დროს პირველათ დაუახლოვდა ის დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს. პროლეტარული რევოლიუცია თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა.

რუსეთის რევოლიუციის გავლენა დასავლეთ ევროპის მუშებზე გაძლიერდა.

ამ დროისთვის კაპიტალიზმმა თავისი მტაცებლური კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკით საკმაოთ მოამზადა ნიადაგი რევოლიუციისათვის დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნებში. ყველა ქვეყნებში მუშათა მოძრაობა სწრაფათ გაიზარდა და მიიღო აშკარა რევოლიუციონური ფორმები. ყოველგან ეწყობა პარტიები, რომლებიც ჯერ კიდევ თუ არ არიან კომუნისტური, ყოველ შემთხვევაში არ უფრთხიან ამ მოძრაობას და წინააღმდეგ დიდი სიმპატიითაც კი ეპყრობიან მას. კომუნიზმისაკენ გადიხარა ისეთი ძლიერი პარტიები, როგორიც არიან გერმანიის დამოუკიდებელი სოციალდემოკრატები, საფრანგეთის სოციალისტური პარტიები, იტალიის და სხვები. ამ პარტიებში წევრთა რიცხვი ასი ათასობით ითვლება.

1920 წლის ზაფხულზე მოსკოვში შეკრებილი კომუნისტური ინტერნაციონალის სიეზდი იყო უკვე მასსიური მუშათა პარტიების სიეზდი. ამ სიეზდმა გამოიმუშავა კომუნისტურ პარტიების პროგრამა და ტაქტიკა. თავის აღმასრულებელ კომიტეტის სახით მან შექმნა ისეთი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთელი ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატს თავის ბრძოლაში, თავის გარშემო შემოიკრებს ამ ბრძოლაში მონაწილეთ და გაუძღვება მათ საერთო მიზნისაკენ კომუნისტური ინტერნაციონალი—ეს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ხელმძღვანელ ცენტრათ გადაიქცა.

ასეთ ცენტრის შექმნა ერთი ბრწყინვალე მოპოვებათაგანია დაწყებულ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

მარა განადგურებამ, რომელიც მიაყენა მას იმპერიალისტურმა ომმა, მეტათ გაამწვავა ბრძოლა კოლონიებისათვის და მიიღო კულმინა ამ კოლონიების გაძლიერებული ექსპლოატაციისა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის. კოლონიებს საერთოდ და აღმოსავლეთის ქვეყნებს განსაკუთრებით მოელის საშინელი დამონავება და ექსპლოატაცია. ამ საშიშროების წინაშე აღმოსავლეთის ხალხები რევოლიუციონურ მოძრაობაში მოდიან, რომელიც აჯანყებათა მთელ რიგში გამოიხატება. დღემდის ამ აჯანყებებს იოლათ აქრობდენ, იმდენათ სუსტათ იყო ისინი მოწყობილი. ბრძოლის წარმატებისთვის აღმოსავლეთის ხალხებმა უნდა შექმნან თავისი რევოლიუციონური პარტიები, კომუნისტური ინტერნაციონალის მზგავსათ თავისი ცენტრალური ორგანოთი. ასეთი ორგანიზაცია უკვე შეიქმნა ბაქოში აღმოსავლეთის ხალხთა პირველ ყრილობაზე სექტემბრის რიცხვებში. ამ ორგანიზაციამ კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა ლოზუნგები მიიღო, შეითვისა. პროლეტარული დასავლეთი და გლეხური აღმოსავლეთი საერთო მტრის—მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში შეიდრით კავშირდებიან. მსოფლიო რევოლიუციის განვითარებაში აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა მეორე უდიდესი მოვლენაა.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე ყრილობაზე მასსიური მუშათა პარტიები, რომლებიც გულწრფელათ თანაუგრძნობენ კომუნიზმს და პროლეტარულ რევოლიუციას, გარნა ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ მათ პროლეტარიატის რევოლიუციონური ტაქტიკის პრინციპები. ეს პარტიები უნდა გადადუღდენ კომუნისტურ პარტიებათ და მით პროლეტარულ რევოლიუციის მესაჭეებათ და ხელმძღვანელებათ უნდა გახდენ. ამიტომაც მათ ყველა მერყევი და ოპორტიუნისტული ელემენტები თავის წრეებიდან უნდა გაჰყარონ, გააძეონ.

ამ პროცესს ჩვენ ვამჩნევთ უკანასკნელ ჟამებში სოციალისტურ პარტიების ცხოვრებაში: გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის და ბოლგარიის. ყველა ამ ქვეყნებში მერყევ სოციალისტურ პარტიების მაგიერ [...]ნება ახალი მაგარი და მომქმედი რევო[...]ლიუციონური კომუნისტური პარტიებ[...]

სამი წლის უკან რუსეთი პროლეტა[...]რულ რევოლიუციის გზაზე იდგა მა[...]ტოდ მარტო. დღეს ის შეიქმნა მსო[...]ლიო რევოლიუციის შუაგულად და ხ[...]დათ დასავლეთ ევროპის რევოლიუცი[...]ნურ პროლეტარიატის და აღმოსავლე[...]თის რევოლიუციონურ გლეხობის შ[...]რის.

დიადია გზა, რომელიც გააკეთა რუ[...]სეთის რევოლიუციამ სამი წლის გა[...]მავლობაში. სწრაფი იყო მისი წინსვლ[...] მაგრამ ამბები ვითარდება და იზრდებ[...] ყოველ დღე მოდის ახალი ცნობები რე[...]ვოლიუციის ზრდისა სხვა და სხვა ქვეყ[...]ნებში. ყველგან ირღვევა ძველი, და მი[...]ნანგრევებზე სწრაფად შენდება ახალ[...] ცხოვრება.

**ირანი.**

## საბჭოთა ძალა-უფლება დ[...] მუშათა ინტერნაციონალ[...]

დღეს სრულდება სამი წლიწადი, რაც ყოფილ თვითმპყრობელური რუსეთის მაგივრათ არსებობს სახელმწიფო, რომლის საჭე ხელთ უპყრია მუშათა კლასს და განხორციელებულია მისი დიქტატურა. ეს სახელმწიფო რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც შედეგია ოქტომბრის დიადი პროლეტარული რევოლიუციისა.

საბჭოთა ძალა-უფლების არსებობამ რუსეთში მოსპო ის ილიუზიები, რომელიც მდგომარეობდა იმაში, ვითომ „დემოკრატიას საერთოდ", პარლამენტარიზმს და სხვა მშვიდობიან ღონისძიებას შეეძლოს სოციალიზმის განხორციელება. საბჭოთა ძალა-უფლების სამი წლის ისტორია გვიმტკიცებს ჩვენ, რომ მხოლოთ შეუპოვარი ბრძოლით, სამოქალაქო ომით შეუძლია პროლეტარიატს დაიპყროს ძალა უფლება და გამოაცხადოს თავისი

# პროლეტარული რევოლიუცია.

## 1917 (25 ოქტომბ. / 7 ნოემბ.) 1920

მრავალფეროვანია და მიხვეულ-მოხვეულია კაცობრიობის განვითარების გზა. მაგრამ მიუხედავათ მისს სხვა და სხვაობისა,—დროისა და სივრცის პირობების მიხედვით,—განვითარება ეს მიდის აუცილებლათ კლასიური ბრძოლის გზით, რომელი ბრძოლაც ბოლოს და ბოლოს არის ბრძოლა ძალა-უფლებისათვის, ბრძოლა დიქტატურისათვის იმ განსაზღვრულ კლასისა, რომელიც ეკონომიურათ მომწიფდა იმისთვის, რომ შეუფარდოს საზოგადოების მთელი პოლიტიკური ზედნაშენი შეცვლილ სამეურნეო-საწარმოვო ზედნაშენს. არსებულ საზოგადოების ეკონომიკის და პოლიტიკის განვითარების და ურთი-ერთ შეგუების პროცესი არსებითად და ჩვეულებრივათ არის რევოლიუციონური პროცესი, პროცესი ცვლილებათა თანდათანობითი ზრდისა და დაგროვებისა საზოგადოებრივი პირამიდებისა და მისი სამეურნეო ბაზისის ყველა ხილულ დაფარულ პრუჟინებში. მაგრამ ბებრუხანა-ისტორიის დიალექტიკა თავის განვითარებას განსაზღვრულ საფეხურზე რაოდენობას თვისებათ აქცევს და ძველი კლასიურ ურთიერთობის ნაჭუჭიდან გამოტეხილი ახალი საზოგადოება განაგრძობს წინსვლას მომხდარ, დაპოლოვებულ გადატრიალების საფუძველზე. თითქმის შორეულ საუკუნოების ისტორიამაც კი იცის სიჩქარით ჭიჭო და მშობიარობის პროცესის ნაკლები ტკივილებით საზოგადოების პოლიტიკური ზედნაშენის მისს ეკონომიურ ჰაძირკველთან შეხამების წესი. ეს არის რევოლიუციები, რომლებიც კ. მარქსის მხატვრული გამოთქმით ისტორიულ განვითარების ლოკომოტივებია. მაგრამ მხოლოდ ჩვენი ეპოქის უკანასკნელ საუკუნოებისათვის გახდა ეს ლოკომოტივები ჩვეულებრივ, დამახასიათებელ საშვალებათ ევოლიუციონურ პროცესის რევოლიუციონურ აქტით დასაბოლოვებლათ. პოლიტიკური რევოლიუციები დამახასიათებელია განვითარებულ, ეკონომიურათ მოღონიერებულ ბურჟუაზიისათვის. და კაპიტალისტურ ეპოქის განთიადისას ბურჟუაზია გამოდის, როგორც რევოლიუციონური კლასი, რომელიც სათავეში უდგას და მიმართულებას აძლევს დანარჩენ მწარმოებელ კლასების ბრძოლას ძველი საზოგადოების იმ კლასების წინააღმდეგ, რომლებმაც უკვე დრო მოჭამეს და ტორმაზი გახდენ პროგრესისთვის.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ინგლისის ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ პოლიტიკურათ გაანატონა კაპიტალისტური კლასი, თუმცა სახელმწიფოს პირამიდის სათავეში დარჩენ ზოგიერთი დროს შესაფერისათ ფერცვლილი ფეოდალებიც, რომლებიც აქნობამდის მაგრათ არიან ფეხმოკიდებული თავიანთ მსხვილ მიწათმფლობელობის ნიადაგზე.

სამაგიეროთ მე-18 საუკუნის მიწურულში მომხდარმა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრა ფეოდალიზმი, აბსოლიუტიზმი და კლერიკალიზმი. და თუმცა ძველი საზოგადოების ორი უკანასკნელი საფუძველი ხშირათ წამოჰყოფდა თავს, დრო-გამოშვებით კიდევაც აღსდგებოდა თავის უფლებებში, მარა დაბოლოს რევოლიუციის მაიატნიკი, გადაიხრებოდა რა უკანასკნელ წერტილამდე მარცხნივ და მარჯვნივ, გაჩერდა ბურჟუაზიულ წონასწორობისა ცენტრალურ წერტილზე, აღბეჭდა რა განუსაზღვრელი ბატონობა ბურჟუაზიისა, როგორც კლასის, ბურჟუაზიისა, რომელმაც გადააკეთა მთელი სახელმწიფოებრივი პირამიდა „ხატად და სახეთ თვისთა". სიტყვები: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა", რომლებსაც მაგიური გავლენა ქონდათ ხალხის მასსაზე, დაუყოვნებლივ გადათარგმნილ იქნა უფრო გასაგებ ფაქტების ენაზე და აღმოჩნდა, რომ ისინი გულისხმობენ ბურჟუაზიულ „ინფანტერიას", კავალერიას, არტილერიას", რომლებიც მიმართული იყვნენ სახელდობრ იმ კლასების წინააღმდეგ, რომლებიც მაშინ შეადგენდენ ხალხს, ე. ი. წინააღმდეგ ჯერ ჩამოუყალიბებელ პროლეტარიატისა, ქალაქის წვრილ-ბურჟუაზიისა და გლეხებისა. გვირგვინოსან კაპიტალის ტახტი შეინძრა ხალხთა მასსების ახალი მებაირახტრის, პროლეტარიატის, მძლავრი შეტევის გამო, რომელიც პირველად უფრო ინსტიქტიურად მოქმედებდა, ვიდრე იმ რევოლიუციონურ ამოცანათა შეგნების ხელმძღვანელობით, რომლებიც დააკისრა მის კლასს ისტორიის უზენაესმა ნებამ.

პროლეტარიატის დიქტატურა, აი მე-19 საუკუნის რევოლიუციების საიდუმლოება. დიქტატურა ყველაზე უფრო დაჩაგრულთ, მაგრამ ჩვენი დროისთვის ყველაზე უფრო მოწინავე კლასის, დიქტატურა იმ კლასისა, რომელიც მთელი თავისი მდგომარეობით, თავისი შეგნებით და მჭიდროთ შეკავშირებით მოწოდებულია დაამხოს ბურჟუაზიის კლასიური დიქტატურა არა მარტო იმისთვის, რომ ამოვიდეს თვითონ სილატაკის, ჩაგვრის და გადაშენების უფსკრულიდან, არამედ, რომ ამოიყვანოს ხალხის ყველა დანარჩენი წრეებიც, და კლასების მოსპობით დაიპყროს კაცობრიობის თავისუფლება საყოველთაო თანასწორობის საფუძველზე, შრომაში, ჭეშმარიტი ხალხთა ძმობა სამეურნეო ერთობის ნიადაგზე. სოციალიზმი—აი მიზანი უკვე ფეხზე დამდგარ პროლეტარულ კლასის. ბურჟუაზიის წინააღმდეგ კლასობრივი ომი, მშრომელთა დიქტატურა—აი, პროლეტარული ბრძოლის საშუალებები, რომელიც ქექა გრგვინვით გადიარა მთელს ევროპაზე.

როდესაც მთელი ქვეყნის ბურჟუაზიამ დაინახა ბრძოლის ასპარეზზე გამოსული თავისი მესაფლავე—კლასობრივი შეგნებით შეიარაღებული სოციალისტური პროლეტარიატი—ის მყისვე შავი რეაქციის მორევში გადაეშვა. რევოლიუციონური ბურჟუაზიის ტრადიციები სამუდამოთ დასაფლავებულ იქნა, როგორც კი ევროპის სატახტო ქალაქების ქუჩებში გაისმა პროლეტარიატის მიერ გასროლილი თოფის ხმა, რომლებიც (პროლეტარიატი) აჯანყდენ კაპიტალის მონობის წინააღმდეგ. აღმოსავლეთისკენ უფრო ვერაგული ზრახვებით იყო გაჟღენთილი ბურჟუაზია, ქვეყნების მთელ რიგში—უმთავრესათ კი გერმანიაში, ბურჟუაზია აქტიურათ გამოვიდა ფეოდალურ აბსოლიუტურ კონტრ-რევოლიუციის მხარეზე. ეს არ იყო ბურჟუაზიის მხრივ შეჭამანდის საფასურათ თავის უფლებების გაყიდვა. ამას სარჩულათ ედვა ის, რომ საერთო ძალით დაეჩაგრათ მშრომელები, და ამიტომაც ფეოდალურ რეაქცია და ბურჟუაზიული კონტრევოლიუცია ხელიხელ ჩაკიდებული გამოვიდენ საერთო მტრის—პროლეტარულ კომუნიზმის წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლისათვის, იმ კომუნიზმის წინააღმდეგ, რომლის წითელი აჩრდილი შიშის ზარს სცემდა ევროპის მმართველ კლასებს ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში. 1848 წელს ივნისის რიცხვებში პარიზის ქუჩებში მომხდარი პროლეტარიატის ჟლეტამ და იმ სისხლის მორევმა, რომლის ტალღებში ბურჟუაზიამ ჩაახრჩო 71 წლის კომუნა—ერთხელ და სამუდამოთ გამიჯნეს ერთი მეორისაგან ბურჟუაზიული რევოლიუციების და ახალი პროლეტარული რევოლიუციების ეპოქები. მხოლოდ უკანასკნელები ე. ი. პროლეტარული რევოლიუციები შეიქნა დესაძლებელი ევროპის მოწინავე ქვეყნებში, სადაც ბურჟუაზიამ განსაზღვრული დროთი დაამყარა თავისი ბატონობა მშრომელ კლასის ზურგზე.

ამ კლასს ე. ი. პროლეტარიატს, ძალა-უფლებისათვის ბრძოლა უანდერძა დაშლილ 1 ინტერნაციონალმა, რომელსაც 10 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდენ პროლეტარულ ფილოსოფიის, სოციოლოგიის და მის რევოლიუციონურ ალგებრის ავტორები—მარქსი და ენგელსი.

როგორი იყო რუსეთში რევოლიუციის პერსპექტივები? რომელ კლასს დაავალა ისტორიამ ევროპის აღმოსავლეთ მხარეში რევოლიუციის მამოძრავებელ ძალათ გახდომა, იმ მხარეში, სადაც ბატონობდა მემამულეთა და ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ბურჟუაზიის წრეების კოალიცია, (კავშირი) რომელსაც ხელმძღვანელობდა მეფის ბიუროკრატია? ერთ-ერთ თავის კლასიურ ისტორიულ შრომაში კ. მარქს მხედველობაში ქონდა ევროპის ქვეყნებში რევოლიუციის პერსპექტივები და შემდეგს სწერდა: „რევოლიუცია თავის თავს პოებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მოიპოვებს **საკუთარ, ორიგინალურ სახელს**, და ეს კი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც თანამედროვე რევოლიუციონური კლასი—სამრეწველო პროლეტარიატი—გადაჭრით იკავებს მასში უმთავრეს ადგილს. ეს უბრალო, გენიალური დებულება სწორი შეიქმნა ჩამორჩენილ რუსეთის საზომათაც, როდესაც იქ მომწიფდა წინასწარი პირობები ცარიზმის რევოლიუციონურათ ჩამოგდებისთვის. ვინ, რომელი კლასი უნდა გახდეს რევოლიუციის მესაჭეთ, რომელ კლასმა უნდა მასცეს მას საკუთარი ორიგინალური სახელი, გახდეს მის გეგემონათ და მთავარ მამოძრავებელ ძალათ? ვულგარული დემოკრატიული აზროვნება, რომლის მატარებელი აქამდისაც არიან მენშევიკები, ებღაუჭება „ისტორიულ რიგს" (Историческая очеред"), რომლის მიხედვითაც სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებისაკენ მიდიან სხვა და სხვა კლასები, და იმეორებს, რომ რუსეთში ასეთი კლასია ბურჟუაზია, რადგან რევოლიუცია ბურჟუაზიული იქნებაო. პროლეტარიატი კი მოჯიკავეს როლს შეასრულებს ბურჟუაზიის მიმართ,

# მთელ მსოფლიოს პროლეტარიატისთვის

დიქტატურა ბურჟუაზიისა და საერთოთ მუქთახორების ასალაგმავათ.

ჩვენი მტრები არა მარტო ბურჟუაზიის ბანაკიდან, არამედ ეგრედწოდებული, „სოციალისტებიც“ კი სასტიკათ ილაშქრებდენ ოქტომბრის დიადი რევოლიუციის წინააღმდეგ; მას არ ცნობენ რევოლიუციათ და შეთქმულობათ სახავდენ; დამარცხებასაც კი უწინასწარმეტყველებდენ მას ორი-სამი კვირის განმავლობაში. მაგრამ უკანასკნელი სამი წლის ისტორიის ულმობელი სინამდვილე სავსებით ამსხვრევს მათ მოსაზრებებს.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის პროლეტარიატის და განსაკუთრებით მისი ავანგარდის, კომუნისტური პარტიის დაუშრეტელი ენერგიის წყალობით მუშათა დიქტატურა რუსეთში არა თუ არსებობს, არამედ დღითი დღე სულ უფრო და უფრო მტკიცდება. და არა თუ მტკიცდება რუსეთში, არამედ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებსაც ედება მის მიერ დანთებული ცეცხლი. საერთაშორისო მუშათა კლასი, წინააღმდეგ ყველა ქვეყნის სოციალ-გამცემლების მეცადინეობისა, მიხვდა თავისი კლასიური ინსტინქტით, რომ საბჭოთა რუსეთის დაღუპვა—ეს მთელი მსოფლიოს-ბურჟუაზიის გამარჯვება იქნებოდა საერთაშორისო მასშტაბით, და ამიტომ პირდაპირ და აშკარათ დაადგა საბჭოთა ძალა-უფლების მხარეზე, რითაც მეტისმეტად გააძლიერა საბჭოთა რუსეთი და გაამხნევა ის საერთაშორისო კაპიტალიზმთან ბრძოლაში. საბჭოთა რუსეთი გახდა ჩირაღდანი ყველა ქვეყნის მუშებისათვის, გაძვალტყავებულ პროლეტარებისათვის იმ აზიმოქრებულ ტალღებში, რომლითაც მოცულია დღეს მთელი მსოფლიო. მის ბრძოლის მეთოდებს სულ უფრო და უფრო ითვისებენ მთელი მსოფლიოს პროლეტარები. ეს უკანასკნელნაც ჩაებენ დღეს დრომოჭმულ ბურჟუაზიულ წყობილებასთან ბრძოლაში და ისწრაფვიან დააფუძნონ თავიანთ ქვეყნებშიც რუსეთის მსგავსი წეს-წყობილება.

რომ ეს ბრძოლა ყოფილიყო მწყობრი და ნაყოფიერი, რომ საერთაშორისო პროლეტარიატის არმია არ ყოფილიყო დაქსაქსული და მით დაუძლურებული, აუცილებელი საჭირო გახდა ერთი მაღალი მუშათა ორგანოს დაარსება, რომელიც უხელმძღვანელებდა და ჭეშმარიტად რევოლიუციონურ კალაპოტში ჩააყენებდა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობას, ესე იგი, საჭირო გახდა ნამდვილი მუშათა ინტერნაციონალის დაარსება, წინააღმდეგ იმ ყვითელი მეორე ინტერნაციონალისა, რომლის ბელადებმა თავი ისახელეს მუშათა კლასის, პროლეტარიატის გამცემლობით და მათი ინტერესების ფეხქვეშ გათელვით.

და კიდევაც დაარსდა. ეს არის მესამე ანუ კომუნისტური ინტერნაციონალი. რასაკვირველია ამის მოწყობა თავს უნდა ედვა იმ პარტიას, რომელიც მუდამ ერთგული დარაჯი იყო მუშათა კლასის ინტერესების და ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევია მეცნიერულ კომუნიზმის ჭეშმარიტ გზიდან.

ამიტომ გასაკვირალი არ არის, რომ ის არსდება და ეწყობა იმ ქვეყანაში, სადაც პროლეტარიატი უკვე თავისი ბედ-იღბლის გამომჭედი გახდა და სადაც მემამულეთა და ბურჟუების სასახლის ნანგრევებზე აფრიალდა წითელი დროშა კომუნიზმისა.

იმ ფაქტს, რომ რუსეთში უკვე სამი წელიწადია არსებობს და მტკიცდება საბჭოთა ძალა-უფლება, პროლეტარიატის დიქტატურა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, პროლეტარიატისათვის, ვინაიდან ეს გარემოება კიდევ უფრო აკავშირებს, აერთიანებს მის რიგებს პირველი მუშურ გლეხური რესპუბლიკის დასაცავათ მთელი მსოფლიოს კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის და მემამულეთა ვერაგულ თავდასხმისაგან.

ეს ერთობა თავის უმაღლესს გამოხატულებას ჰპოვებს კომუნისტურ ინტერნაციონალში, რომლის აღმასრულებელი კომიტეტი წარმოადგენს კაპიტალიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ინტერნაციონალურ სამოქალაქო ომის გენერალურ შტაბს, რომელიც იძლევა დირექტივებს და ასრულებს ხელმძღვანელი ორგანოს როლს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციისათვის.

ძველი „სოციალისტური“ ინტერნაციონალი, რომლიდანაც ამ ჟამათ ნაფლეთები-ღა დარჩა, წარმოადგენდა ნაციონალურ ორგანიზაციების მჭიდროთ შეკავშირებულ კრებულს, რომელიც იღებდა ლამაზ რეზოლიუციებს კლასთა ბრძოლაზე და ამავე დროს პრაქტიკულათ ატარებდა ბურჟუაზიასთან შეთანხმების და მით და რევოლიუციონური მოქმედების უარყოფას.

კომუნისტური ინტერნაციონალი არის ცენტრალისტური, მჭიდროთ შეკავშირებული, დისციპლინის მქონე ორგანიზაცია რევოლიუციონურ პროლეტარიატის ძალებისა კლასიურ ომისათვის.

იგი აღიარებს პროლეტარიატის დიქტატურას და მის ფორმათ სცნობს საბჭოთა-ძალაუფლებას, რომელიც უზრუნველყოფს მუშათა კლასის და საზოგადოთ ყველა მშრომელთა განთავისუფლების კაპიტალისტურ მეურნეობის მჩხრეკებისგან.

პროლეტარული, კომუნისტური რევოლიუცია არის მსოფლიო რევოლიუცია, რისთვისაც ის საჭიროებს საერთაშორისო ტაქტიკის წარმოებას, რომელსაც იმუშავებს მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალი, რითაც უზრუნველყოფს ერთობას ბრძოლის დროს საერთაშორისო მუშათა კლასში და ითვალისწინებს და ანგარიშს უწევს საერთაშორისო მდგომარეობის სხვა და სხვა პირობებს და მოთხოვნილებებს. სწორეთ ეს აძლევს ამ მუშათა ინტერნაციონალს სიმტკიცეს და სიძლიერეს შავი ინტერნაციონალური იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ.

საბჭოთა რუსეთი, როგორც პირველი სოციალისტური, მუშურ გლეხური რესპუბლიკა დიდ იმედს აძლევს და დაუშრეტელ ენერგიას მატებს კომუნისტურ ინტერნაციონალს: ის დიდ დახმარებას უწევს მას მის წმინდა პროლეტარულ იდეალების განხორციელებაში.

თავის მხრით საერთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციის მატარებელი, მესამე ინტერნაციონალი თავდებია იმისი, რომ საბჭოთა სოციალისტური რუსეთი მალე იდღესასწაულებს თავის სრულ გამარჯვებას და შევა, როგორც მთლიანი ოჯახის ერთი წევრთაგანი, საერთაშორისო სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკაში.

ქ. კომუნაძე.

## საბჭოთა მთავრობა და პარლამენტარიზმი.

საბჭოთა მთავრობა, ანუ საბჭოთა ძალა-უფლება პროლეტარიატის დიქტატურის ფორმაა, პროლეტარული სახელმწიფოს ნიშანდობლივი თვისებაა. პროლეტარიატი ებრძვის ბურჟუაზიას, ანგრევს მისი ბატონობის იარაღს—ბურჟუაზიული სახელმწიფოს და უარყოფს მის დამახასიათებელ მართვა-გამგეობის ფორმას—პარლამენტარიზმს.

რას წარმოადგენს პარლამენტარიზმი თავისი არსებით? იმას, რომ, როგორც მარქსი ამბობდა, სამ წელიწადში ან ექვს წელიწადში ერთხელ გადაწყდეს,— გაბატონებული კლასის რომელმა წევრმა უნდა წარმოადგინოს და დათრგუნოს ხალხი პარლამენტში. დიახ, ეს დათრგუნვის ორგანოა, ბურჟუაზიული სახელმწიფოს ერთი დაწესებულებაა. ამას ცხადათ ამტკიცებს როგორც მისი შემადგენლობა, ისე მისი საქმიანობა.

მართლაც და როგორ სდგება პარლამენტი? უმეტეს შემთხვევაში საყოველთაო არჩევნებით. მაგრამ სინამდვილეში საყოველთაო არჩევნები ფიქციაა, მოტყუებას წარმოადგენს. ჯერ ერთი, არჩევნებიდან გამოკლებულია მცხოვრებთა ნახევარი—ქალები, რომლებიც ყველგან წარმოადგენენ საგრძნობ სოციალურ ძალას და როგორც ასეთს, მას იმავე ბურჟუაზიული შეხედულობით, უეჭველათ უნდა ქონდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება. მაგრამ რადგან დღეს სხვა და სხვა პირობების გამო ყველა სუსტ ძალას ქალი წარმოადგენს, ბურჟუაზია მას არავითარ ანგარიშს არ უწევს და პარლამენტის კარამდე არ უშვებს.

თვით მამაკაცთათვის მხოლოთ სიტყვით არის ცნობილი საყოველთაო უფლება, საქმით კი იმდენი დაბრკოლება აქვს მას საგანგებოთ წინ დაყენებული, რომ აქაც იგი საბოლოოთ არარათ იქცევა. ათასგვარი ცენზი—ქონებისა, ბინადრობისა, წლოვანებისა, განათლებისა—რომელიც მეტ-ნაკლებათ ყველა ქვეყნებში არსებობს, საარჩევნო სიებიდან შლის მამაკაცთა დიდ ნაწილს და უმთავრესათ სწორეთ მშრომელ ხალხს. მაგრამ სიებში შეტანილი ხალხი კი მთელათ იღებს მონაწილეობას არჩევნებში? რასაკვირველია, არა. კაპიტალის ფაქტიური ბატონობა აქ ბოჭავს იმას, რაც მის იურიდიულ მახინჯიებს გამოეპარა. კარგი სიკეთეა პოლიტიკური უფლების ქონვა, მაგრამ საქმე მის განხორციელებაშია. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩასარევა საჭიროა პოლიტიკურ პირობების გათვალისწინება, გაშუქება; ყველა ამას ემსახურება ზეპირი და ბეჭდვითი სიტყვა, კრებები და გაზეთები. მშრომელ ხალხს კი არ მოეპოვება არც შესაფერი შენობები, არც სტამბები დ გაზეთები. ყველა ეს ბურჟუაზიის კუთვნილებაა და ისიც ჩინებულათ ამუშავებს საზოგადოებრივ აზრს.

ამდენ გზის გაცხრილული და ბურჟუაზიული პრესით გამოლაყებული ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ყუთთან და ასრულებს თავის მოქალაქურ მოვალეობას მით, რომ ბურჟუაზიულ კანდიდატს ათეთრებს, თუმცა ეს უკანასკნელი მისი კლასობრივი მტერია. მშრომელ ხალხს ნაკლებათ მოეპოვება საშუალება თავისი წრიდან გამოყოს საპარლამენტო მოღვაწენი, რომელნიც მრავალ შემთხვევაში

---

რომ ამ გზით მოიპოვოს პროლეტარიატისთვის აუცილებელი რეფორმა.

ეს არის პოზიცია ეგრეთ წოდებულ „კუდში დევნის“, პოზიცია, რომელიც სრულიათ არ შეეფერება იმროლს, რომელსაც ასრულებს რუსეთის პროლეტარიატი, თუნდაც ეს მას არც კი უნდოდეს, მაგრამ ის მაინც იძულებულია ობიექტიურ პირობების ზედგავლენით შეასრულოს ეს როლი. ეს არის რევოლიუციის მთავარ მამოძრავებელ ძალის, მის გეგემონის როლი. ჯერ კიდევ 1889 წელს 2 ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე გ. პლეხანოვმა გამოხატა რუსეთის მარქსისტების საერთო რწმენა, რომელსაც სთქვა, რომ რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა რევოლიუცია, ანდა სრულიად დამარცხდება. მარქსისტ პლეხანოვის ამ სიტყვებში გამოიხატა ისტორიულ, ობიექტიური სიმართლე: რუსეთის რევოლიუციას სათავეში ვერ ჩაუდგა პროგრესიულ ბურჟუაზიაც კი, რადგან მან არჩია მონარქიული რეაქცია იმ რევოლიუციას, რომელშიც კლასიურ თვალსაზრისით თვით გამორკვეული პროლეტარიატი და მისი მოკავშირე რევოლიუციონური გლეხობა აწი უკვე არ მოისურვებდენ რევოლიუციის წინააღმდეგ მებრძოლ და ძველ რეჟიმთან შეთანხმებულ „პროგრესიულ“ ბურჟუაზიის ხელში ბრმა იარაღათ გახდომას, არამედ ის გამოვიდოდა როგორც დამოუკიდებელი ძალა თავისი კლასობრივი მიზნებით და დამოუკიდებელი რევოლიუციონური ბრძოლის საშუალებებით.

რუსეთის პროლეტარიატი და რევოლიუციონურად განწყობილი გლეხობა ოქტომბრის გამოსვლების დაწყებისთანავე გვიჩვენებს, რომ ძველი, მონარქისტულ წესწყობილებასთან ბრძოლაში არ დაზოგვენ დამყაყებულ ბურჟუაზიასაც. რუსეთის ბურჟუაზიამ ვერ შესძლო პოლიტიკურად გაერყვნა და მოეწინაურებია პროლეტარიატი, რომელიც პირველ გამოფხიზლებისთანავე დადგა სოციალისტურ დროშის ქვეშ.

სუსტი და სისხლნაკლული თვითმპყრობელურ ბიუროკრატიის ხელ-ქვეით გაზრდილი ბურჟუაზია, სრულიად ბუნებრივათ ეძებდა დასაყრდნობს მონარქიაში, თავის კლასიური მტრის წინააღმდეგ, და არა თუ ამზადებდა რევოლიუციას, არამედ ფიქრიც კი დაივიწყა სავსებით ამაზე. ბურჟუაზიულ ოპოზიციის მემარცხენე ფრთაც კი ე. წ. ხალხის თავისუფლების პარტია, თავის პირველ „რევოლიუციონერობის“ დროსაც კი ეკიდებოდა მონარქიას რესპუბლიკის წინააღმდეგ, ემხრობოდა მეფეს რევოლიუციის წინააღმდეგ, რომ შემდეგ გაეცა 1905 წლის რევოლიუცია მემამულეებისა და ბიუროკრატებისათვის, იმათმა კი დაიტოვეს ნამცეცი ოპოზიციისა, მათ უდიდებულესობის წინააღმდეგ, და დაათავეს იმით, რომ 1917—18 წლებში სავსებით გადაებარგენ დენიკინის და მისი დამქაშების ბანაკში. ეს კონტრ-რევოლიუციონური ბუნება რუსეთის, თუ გინდ „პროგრესიულ“ ბურჟუაზიისა დიდი ხანია ცნობილია, ჯერ კიდევ რუსეთის პირველი პოლიტიკურ გამოფხიზლების დროს 1904 წ. გაიცნეს თვით და გააცნეს ხალხს რუსეთის სოც.-დემ. ბოლშევიკებმა. იმათმა უკვე გამოიმუშავეს ახალი, ერთად-ერთი სწორი ტაქტიკა რევოლიუციონურ ბრძოლის, ტაქტიკა, რომელიც შეეფერებოდა ახალ ეპოქას როდესაც მთელი ქვეყნის ბურჟუაზია და რუსეთისაც, უკვე აღარ იყვენ რევოლიუციის მამოძრავებელი ძალა, მაშინ ის ცოტად თუ ბევრად გადაებარგა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში.

იყო თუ არა რუსეთის პირველი რევოლიუცია 1905 წ. ბურჟუაზიული, შეეძლო თუ არა მას ყოფილიყო ასეთი? რუსეთის მენშევიკები თვლიდენ მას ბურჟუაზიულად და ბურჟუაზიას უთმობდენ მასში პირველ ადგილს, მუშა კლასს კი და მის პარტიას სოც.-დემოკრატიას ანიჭებდენ უმცირეს როლს, ბურჟუაზიულ „რევოლიუციონერების“ მაჩანჩალობას. რუსეთის ბოლშევიკები კი, და მათთან ერთად ევროპის საუკეთესო მარქსისტები ლაპარაკობდენ, რომ ის დრო, როდესაც ბურჟუაზია რევოლიუციაში თამაშობდა აქტიურ როლს უკვე წავიდა და დაუბრუნებლად, წავიდა ის აგრეთვე რუსეთისთვისაც. ჯერ კიდევ მეორე ინტერნაციონალის პირველ კონგრესზე გ. პლეხანოვმა, მაშინ ჯერ კიდევ მარქსისტმა და რევოლიუციონურმა სოც.-დემოკრატიამ წამოაყენა დებულება, რომ „რუსეთში რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლიუცია, ან სულ არ გაიმარჯვებსო.“

ასედაც მოხდა. 1905 წ. რევოლიუცია არ იყო ბურჟუაზიული, მაგრამ ის არ იყო წმინდა სოციალისტურიც, ე. ი. მაშინ მას არ შეეძლო მიენიჭებია პროლეტარიატისათვის ძალა-უფლება, მის კლასიურ დიქტატურისათვის ბურჟუაზიის მოსასპობად და უკლასო სოციალისტურ წესწყობილების შესაქმნელად. ეს რევოლიუცია წარმოადგენდა თავისებურ პროცესს ბურჟუაზიულ და ახალ სოციალისტურ ქვეყნის შუა მდგარს. და არც მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც მაშინ უდგენ რევოლიუციონურ მასსებს სათავეში, არიყვენ დასაწყისი ორგანოები მშრომელთა დიქტატურისა, იყვენ მხოლოდ სიმბოლო ახალ კლასის, რომელიც ჩაუდგება სახელმწიფოს სათავეში.

სტოლიპინის დიქტატურის ხანაში, დამახასიათებელია არა მარტო შავ რეაქციის პოლიტიკა, არამედ ზრდა საწარმოვო ძალების და გარევოლიუციონერება მუშათა კლასის ფართო მასსების. ბურჟუაზიის იმპერიალიზმისაკენ გადახრამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა რუსეთის რევოლიუციონურ მარქსისტების ძირითადი დებულება: რუსეთში რევოლიუცია მოსალოდნელია, როგორც მუშათა რევოლიუცია და მის კლასიურ თანამგზავრების პროლეტარების და სოფლის ნახევარ პროლეტარების.

1917 წლის რევოლიუცია—არ არის მარტო იმპერიალისტურ ომის ნაყოფი, არამედ პირდაპირი რეაქცია რუსეთის პროლეტარიატის მოქმედების და ინიციატორობის,—რომელმაც სწრაფად გამოარკვია მთავარი თვისება ჩვენი დროის ყოველ რევოლიუციონურ აფეთქებისა. ბურჟუა—მემამულეებმა აღიარეს ოფიციალურად დროებითი მთავრობა, და ამ დროს რევოლიუციონურ რუსეთს დარჩენოდა მხოლოდ ერთი საშუალება,—შემოკრებილიყო მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ირგვლივ. ბურჟუა-მემამულეების დიქტატურას დაუპირდაპირდა საბჭოების დიქტატურა. ამ ორი მოწინააღმდეგე ძალების ერთად მოთავსება ყოვლად შეუძლებელი იყო. ან დამღუპველი იმპერიალიზმი, რომელმაც მოიყვანა ქვეყნიერობა დაღუპვის კარამდი და რომელსაც გადაწყვეტილი აქვს დაღუპვა, ან და ყოველ გვარ გაჭირვებისაგან მხსნელი სოციალიზმი, როგორც ერთად ერთი საშუალება მშვიდობიანობის და ძმობის დასამყარებლად. ასე იდგა კითხვა. მაგრამ წვრილ ბურჟუაზიულ სოციალისტებმა მოიკალათენ რა საბჭოებში, ვერ შესძლეს გადაეწყვიტათ ეს ძირითადი, თუმცაღა სულ უბრალო ამოცანა.

ისინი პირველათ შეუდგენ განწირულ, უტოპიურ საქმეს—მოინდომეს ორი შეურიგებელი ბანაკის შერიგება, შეთანხმების ტალღებში პროლეტარული რევოლიუციის პრინციპების და ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის ერთმანეთში ათქვეფა. რევოლიუციონურმა ბნედამ, პეტერბურგის დამახინჯებულმა სახემ—ამ რევოლიუციის წითელი დედაქალაქისა 17 წლის აპრილში და ივლისში, რომელმაც გვიჩვენა გადატრიალების აუცილებლობა, შეთანხმებულებს მხოლოდ ის ასწავლა, რომ დროა გასცენ მუშურ-გლეხური რევოლიუცია, მისცენ დასანაკუწებლათ შინაურ და გარეშე იმპერიალიზმს, რაზეც ღალატის ნისლით შემობურა რევოლიუციის გული და გონება—პეტერბურგი.

იწყება შეთანხმებული საბჭოების დევნისა და ხრწნის პერიოდი, მათი (საბჭოების) რყევა გათავხედებული კონტრ-რევოლიუციის მიერ, რომლებიც დღეს-ხვალეობით ითმენდენ მათ საბრალო არსებობას, უსუსურს, როგორც გულზვიადი და მდიდრული ბატონი ინახავს-ითმენს თავის ოჯახში ღარიბს, ხიზან ნათესავ-ქალს. ძალთა წონასწორობის დარღვევა აღინიშნება რუსეთის ბონაპარტიზმისკენ მიიტნიკის რყევით, რომლის მისაყრდნობი წვრილი მეტი აღმოჩნდა, ვიდრე უნდა ყოფილიყო—წვრილ ბურჟუაზიული, ბნედიანი კერენსკიდან დაწყებული ჯიშიანი მეფის გენერლამდის — კორნილოვამდის. უკანასკნელის წითელი დედა ქალაქის წინააღმდეგ გამოლაშქრებამ თვალსაჩინო ჰყო კრიზისის მთელი სიღრმე. ელვის დაკვრამ გონების თვალნი გაუხილა თავის გულწრფელობით დაბნეულ მუშათა მასსებს,ნათლათ დაანახა მათ წვრილ ბურჟუაზიული სოციალისტების იდუმალი ზრახვები, ეს შეგნება, რომელმაც მოიცვა მთელი მასსები, გადაულახველ-დაუძლეველი ძალათ იქცა. 1917 წ. აგვისტოში და სექტემბერში ბოლშევიკების მიერ საბჭოების დაპყრობა წარმოადგენს ახლად აყვავებულ რევოლიუციონური შეგნების გარეგან გამოხატულებას- საბედისწერო ხიფათის გაზო, რომელიც ემუქრებოდა რევოლიუციას როგორც შიგნიდან, ისე —გარედან, – უნდა კენში ეყარათ. პეტერბურგის პროლეტარიატის საპასუხო ძლევამოსილმა აჯანყებამ 24—25 ოქტომბერში (7 ნოემბერს) მიიღო საკუთარი, ორიგინალური სახელი—რუსეთის მეორე რევოლიუცია.

ეს რევოლიუცია, რომლის მესამე წლის თავს დღესასწაულობს დღეს მსოფლიო კომუნისტური ინტერნაციონალი, სოციალისტური რევოლიუციაა, მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის პირველი მერცხალი.

ნ. ვექთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითონვე უნდა შეინახოს თავისი ღარიბი ჯიბით. ამას ემატება სანაქებო ჩვეულება ბურჟუაზიისა—ფულით მოისყიდოს ამრჩევლები, აგრეთვე დააშინოს სხვა და სხვა ჩამგონებელი ზომებით, როგორიც არის ადგილიდან დათხოვნა და სხ. რაღა გასაკვირველია, ყველა ამას შემდეგ, რომ პარლამენტის უმრავლესობა გაბატონებულ კლასებს უპყრიათ და არა მშრომელ ხალხს, თუმცა პირველები უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენენ თავისი რიცხვით, მეორე კი დიდძალ უმრავლესობას.

მაგრამ რას აკეთებს თუნდ ასეთი წესით გაცხრილული და შედგენილი პარლამენტი? ის კანონმდებლობს, ე. ი. უმრავლეს შემთხვევაში თვით მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონ-პროექტებს ადასტურებს და ამავე მთავრობას ანდობს მათ ცხოვრებაში გატარებას. პარლამენტი კანონმდებელია, მთავრობა აღმასრულებელი. სინამდვილეში პარლამენტი ცარიელ სალაყბოთ იქცევა, ფართო მასსის თვალის-ასახვევ საშუალებათ ხდება, ხოლო მთელი საქმე ბურჟუაზიის ინტერესების შესაფერათ კეთდება იმავე მთავრობის ხელით, რომელიც საბოლოოთ მხოლოთ აღმასრულებელი კომიტეტია მთელი ბურჟუაზიული კლასისა.

სადღა არის აქ მასსა, ამომრჩეველი, მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი? ის განაგრძობს თავისი მძიმე ულლის ზიდვას და მოკლებულია ყოველგვარ საშუალებას რითიმე გავლენა მოახდინოს თავის არჩეულ პირებზე.

საბჭოთა სისტემა სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენს პარლამენტარიზმისას. აქ არ აქვს ბურჟუაზიულ ფარისევლობას ადგილი: აქ არჩევნები არ არის „საყოველთაო". ამ უფლებას მოკლებულია არა—მშრომელი, მუქთა-ხორა ელემენტები. სამაგიეროთ მთელი მშრომელი ხალხი აღჭურვილია ამ უფლებით დ მას შეძლებაც აქვს მის სავსებით განსახორციელებლათ. სახელმწიფოს მიერ ის უზრუნველყოფილია როგორც შენობებით, ისე სტამბებით და ქაღალდით.

ამორჩეული დეპუტატი მჭიდროთ დაკავშირებულია ამომრჩევლებთან. ის შეიძლება გადაყენებულ იქნას ყოველ წამს, როგორც კი ამას მოისურვებს ამომრჩეველთა უმრავლესობა. ამით საუკეთესოთ უზრუნველყოფილია ის მდგომარეობა, რომ დეპუტატი მუდამ ამრჩევლების ინტერესების დამცველი და მოსარჩლე იყოს.

ამორჩეული დეპუტატები შეადგენენ საბჭოებს სხვა და სხვა საფეხურისას, დაწყებული სოფლის საბჭოთი და გათავებული მთელი სახელმწიფოს საბჭოთა ყრილობით. ამ საბჭოთა ხელშია მთელი ძალა-უფლება, როგორც ადგილობრივათ, ისე სახელმწიფოს მასშტაბით. აქ არ არის გაყოფა კანონმდებელ და აღმასრულებელ ფუნქციებზე. საბჭო მომუშავე ორგანიზაციაა; პირველ ყოვლისა, ერთ და იმავე დროს კანონმდებელიც არის და აღმასრულებელიც. დეპუტატები პასუხს აგებენ როგორც თავის მიერ გამოცემულ კანონებზე, ისე მათ ასრულებაზედაც. აქ ადგილი არა აქვს ვისმე თვალის ასახვევ და მოსატყუებელ ლაყბობას, აქ საქმე და მხოლოთ ცოცხალი საქმე სწურავს დეპუტატის მთელ ენერგიას.

ერთი დიდი უპირატესობა საბჭოთა სისტემისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი უაღრესათ ანვითარებს ხალხის თვითმოქმედებას, აბამს მას პოლიტიკურ ცხოვრებაში და პრაქტიკულათ ასწავლის მას მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობას. წინააღმდეგ ამისა, ხალხზე დაწოლილი პარლამენტარიზმი მხოლოთ აღუნებს და ახშობს ხალხის ყოველგვარ თვითმოქმედებას და ქვეყნის მართვა-გამგეობას ამა ქვეყნის რჩეულთ უტოვებს. ეს სავსებით სასარგებლოა ბურჟუაზიისთვის, რადგან ხალხის დაბეჩავება-დაყრუებაზეა მისი ბატონობა აგებული, ამიტომაც ასეთი თავგამოდებით იცავენ მას გაბატონებული კლასები. ამიტომაც ასე დაუზოგავათ ებრძვის მას პროლეტარიატი და სამაგიეროთ იცავს საბჭოთა სისტემას.

---

# საბჭოთა რუსეთი და სწავლა განათლების საქმე

საბჭოთა რუსეთი ყოველ მხრიდან გარშემორტყმულია მოსისხლე მტრებით. მას განუწყვეტელი ბრძოლის წარმოება უხდება ხან ერთ, ხან მეორე და ზოგჯერ კი ყველა ფრონტებზე. ეს ბრძოლა ითხოვს ამ ქვეყნისაგან მთელი თავისი ძალების გამოყენება-ამოძრავებას. საბჭოთა მთავრობა მთელ თავის საუკეთესო ძალებს გზავნის სამხედრო ფრონტებზე. სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლად ხდებოდა კომუნისტების მობილიზაცია ამა თუ იმ ფრონტზე გასაგზავნათ.

ამ ბრძოლამ და მასთან ერთად რუსეთის ბლოკადამ მეტად შეამცირა ამ ქვეყნის საარსებო საშუალებები. დღეს საბჭოთა რუსეთი განიცდის აუტანელ სამეურნეო კრიზისს. აი, ამ პირობებში უხდება საბჭოთა რუსეთს გიგანტიური მუშაობის წარმოება, როგორიცაა მაგალითად: მიწოდება წითელ არმიისათვის სურსათ-სანოვაგის, სამხედრო იარაღის, ყუმბარების, ტანისამოსის, მთელი მცხოვრებთათვის პურის თუ სხვა ნივთების მოწევა-დამზადება, სათბობ მასალის შოვნა, იმ დროსაც კი, როდესაც ნავთი და ქვანახშირი თეთრ-გვარდიელების ხელში იყო. არ არის გასაკვირალი, რომ შინაური, სამეურნეო ფრონტი დიდ ძალებს თხოვილობდა. საჭირო იყო ამ ფრონტ ზედაც საუკეთესო მუშაკების გაგზავნა. და ამ ფრონტისკენაც მიდიოდა მობილიზაციით ვაწვეულ კომუნისტების ტალღები. სამხედრო და სამეურნეო ფრონტები ნთქავდენ პარტიის საუკეთესო ენერგიულ ძალებს, სხვა სამუშაოსთვის კი ძლიერ ცოტა ძალები რჩებოდენ. ძლიერ ცოტა ძალები რჩებოდა აგრეთვე სწავლა განათლების საქმისთვისაც. სამწუხაროთ, უამისოთ არც შეიძლებოდა. მიუხედავათ ამისა რა ბევრი რამ გაკეთდა საბჭოთა მთავრობის და კომუნისტურ პარტიის მიერ ამ სამი წლის განმავლობაში რუსეთის ხალხის გონებრივათ განვითარების საქმეში.

საბჭოთა მთავრობა, ეს პირველი მთავრობაა, რომელმაც გადამჭრელი ბრძოლა გამოუცხადა უსწავლელობას. მან გადასწყვიტა რაც შეიძლება ჩქარა მოეღო ბოლო უსწავლელობისათვის. რუსეთი უკიდურეს ქაღალდის კრიზისს განიცდის. ქაღალდი იქ ისე ცოტაა, რომ ციმბირის ზოგ ქალაქებში (მაგ. კანსკი) გაზეთი იბეჭდება ისეთ ქაღალდის მეორე გვერდზე, რომელსაც ხმარობენ ჩაის გასახვევათ. გამოცემულია დეკრეტი, რომლის ძალითაც საქმის ქაღალდები შეძლების დაგვარათ უნდა იწერებოდეს ფურცლის მერვედ ნაწილზე.

სტამბის მანქანები გაიცვითა. არ იშოვება კარგი საღებავები და მატრიცის მასალები. წარსულ წელს არ იყო საკმაო სათბობი მასალა და სტამბებში აუტანელი სიცივე მეფობდა. მიუხედავათ ყველა ამ დაბრკოლებებისა მაინც ასი ათასი ცალობით იბეჭდება უსწავლელობის მოსასპობათ პირველ დაწყებითი და სხვა სახელმძღვანელო წიგნები. 1919 წლის 26 დეკემბრის დეკრეტი ამბობს, რომ საბჭოთა რუსეთის ყველა მცხოვრებლები 8 წლის ასაკიდან 50 წლამდის ვინც წერა-კითხვა არ იცის, ვალდებულია ისწავლოს თავის სურვილისამებრ სამშობლოს თუ რუსულ ენაზე.

მასწავლებლების თანამდებობაზე განათლების სახალხო კომისარიატის ორგანოების მიერ მიწვეული იქნებიან შრომის ბეგარის მიხედვით ყველა ნასწავლები, რომლებიც ეკონომიურათ დაკმაყოფილებულნი იქნებიან როგორც სწავლა-განათლების საქმეზე მომუშავენი. მუშაობაში ღებულობენ მონაწილეობას პროფესიონალური კავშირები, რუსეთის კომუნისტურ პარტიის იაჩეიკები, კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირები, ქალთა შორის მომუშავე კომისიები, კოოპერატივები და სხვა.

მათვის, ვინც სწავლობს, სამუშაო დღე სრული ჯამაგირის შენახვით შემოკლებული იქნება ორი საათით. შკოლების თვის გამოყენებული იქნება ყველა ვარგისი შენობები; სახალხო სახლები, კლუბები, საყდრები, კერძო სახლები, ფაბრიკების, ქარხნების და საბჭოთა დაწესებულებების შესაფერისი შენობები და სხვა. სწავლა იწარმოებს ახალი მეთოდებით, რომელიც მკვდარ, მოსაწყენ სამოსწავლო საგანს გამართობელ, სამუსაიფო საგნათ დადააქცევს. უსწავლელობის მოსასპობათ მუშაობის გვერდით სწარმოებს ენერგიული მუშაობა ვანვითარების სხვა დარგებშიაც. რკინის გზის ყველა ცოტა თუ ბევრათ მოზრდილ სადგურებზე მოწყობილია სააგიტაციო პუნქტები (აგიტპუნქტები) სადაც არის სამკითხველო-წიგნსაცავები, იქ იშოვება ფართო მასსებისთვის ადვილათ გასაგები წიგნები და ბროშურები, აგრეთვე ადგილობრივი და სატახტო ქალაქების გაზეთები. ყველას შეუძლია შევიდეს აგიტპუნქტში, მიიღოს წიგნი ან გაზეთი და წაიკითხოს იქვე აგიტპუნქტის შენობაში. სოფლებში აგიტპუნქტების როლს თამაშობენ სამკითხველო-ქოხები, რაც მრავალ ადგილასაა მოწყობილი. ამ სამკითხველო-ქოხებში ხშირად ხმა მაღლა უკითხავენ გაზეთებს მათ, ვინც კითხვა არ იცის.

ამას გარდა რუსეთში კეთდება ბიბლიოთეკების მჭიდრო ქსელი. ბიბლიოთეკების რიცხვი სწრაფათ იზრდება.

1919 წელს ბიბლიოთეკების რიცხვი (აგიტპუნქტების და სამკითხველო კარვების გარდა) 30 გუბერნიაში 13,000 უდრიდა, 1920 წელს კი უდრის 27,000 მაგრამ ამ ბიბლიოთეკების რიცხვში არ შედის კოოპერატივების, პროფესიონალური კავშირების, რ. კ. პ-იის, წითელ არმიელების და სხვების ბიბლიოთეკები.

წიგნების მოთხოვნილება დიდია. 15—20 ათასი ეკზემპლიარის ტირაჟი ძალიან ცოტათ ითვლება. ზოგიერთი წიგნები 100—200 ათასი ეკზემპლიარი იბეჭდება. წიგნები ყველაზე უწინ ბიბლიოთეკებში იგზავნება.

ბიბლიოთეკები ყველასთვის ღიაა—და უფასო. თითქმის ყველა სამეცნიერო ბიბლიოთეკები ყველა მსურველებისთვის ღიაა, მხოლოდ წიგნების სახლში წაღება—კი არ შეიძლება.

მოსკოვის და სხვა ქალაქების ქუჩებში ცნობილი მხატვრების ნაკეთები პლაკატებითაა მოფენილი.

მუზეუმები, მხატვრული სურათების გალლერეები და სხ. ყველა ცნობის მოყვარეთათვის ღიაა. ეწყობა ექსკურსიები ამ მუზეუმების დასათვალიერებლათ. ზაფხულობით აწყობენ ახალგაზრდათა ექსკურსიებს ქალაქ გარეთ ყოველივე იმის დასათვალიერებლათ, რაც ყურადღების ღირსია.

კომუნისტურმა პარტიამ ფართეთ დააყენა პროპაგანდის და აგიტაციის საქმე. ჩვეულებრივი მიტინგებისა პარტიული კრებების გარდა ეწყობა მუშების, გლეხების, წითელ არმიელების და უპარტიო ქალთა კონფერენციები. ამ კონფერენციებზე გამოჩენილი საბჭოთა მოღვაწეები კითხულობენ ფრიად შინაარსიან მოხსენებებს სხვა და სხვა საკითხებზე. მოწყობილია პარტიული სკოლების მჭიდრო ქსელი. დადგენილებით თვითეული პარტიის წევრი ვალდებულია გაიაროს დაბალი პარტიული სკოლა მაინც. ამ სკოლებში იკითხება ლექციები პოლიტიკურ ეკონომიაზე, სახელმწიფო უფლებაზე და სხვა. მოსკოვში, მაგალითად, ყოველ უბანში პარტიული სკოლაა მოწყობილი. ამ სკოლაში კურსის დამთავრების შემდეგ საუკეთესო შეგირდები სარაიონო შკოლაში გადაჰყავთ. რაიონული სკოლის საუკეთესო მოწაფეები ქალაქის პარტიულ სკოლაში იგზავნება, ხოლო უკანასკნელიდან კი უნიჭიერესი შეგირდები ეგრედ წოდებულ კომუნისტურ უნივერსიტეტში იგზავნებიან.

საბჭოთა რუსეთში სწავლა განათლების სფეროში მუშაობა სდუღს. განსაზღვრულია და უკვე იმუშავებენ ახალ გრანდიოზულ გეგმებს. ომისა და მეურნეობის დაშლასთან ბრძოლით გამოწვეული ძალების და საშვალების უქონლობა ძალზე აფერხებს ამ მუშაობის განვითარებას, ხელს უშლის მის სრულ აყვავებას. პოლონეთთან ზავი, ვრანგელის განადგურება და ეკონომიური მდგომარეობის განზრახული გაუმჯობესება საშვალებას აძლევს საბჭოთა რესპუბლიკას განათლების ფრონტზე ახალი ძალები გადმოასხას და ამ სფეროში ბრწყინვალე პერსპექტივებს უშლის მას, საბჭოთა რესპუბლიკას.

ნარი.

---

# დღიური.

**ყირიმის ფრონტზე წითელმა ჯარმა გაანადგურა მტერი და აიღო: რიკოვო, ნოვო-ალექსეევკა და სალკოვო და შეიჭრენ ჩანგარის ნახევარ კუნძულზე. ხელთ იგდო 22 ზარბაზანი, 3 ჯავშნიანი მატარებელი, 40 ათასი ყუმბარა და სხვა აუარებელი დავლა.**

---

# მისალმებანი.

## ძვირფასო ამხანაგებო!

მოგილოცავთ დიად პროლეტარულ დღესასწაულს!

დღეს მთელი მსოფლიოს მუშები დღესასწაულობენ დიდ მნიშვნელოვან დღეს, 7 ნოემბერს (25 ოქტომბერს).

ამ დღეს, სამი წლის უკან, რუსეთის პროლეტარიატმა აიღო თავის ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება და გაბედულათ გამოიწვია ბრძოლის ასპარეზზე მთელი მსოფლიოს მძარცველები და მყვლეფელები.

ამ დღიდან დაიწყო შრომის განთავისუფლება კაპიტალისაგან, დაიწყო დიადი ბრძოლა ყველა ქვეყნის მშრომელთა მასებისა ძალა-უფლებისათვის, კომუნიზმის ბრწყინვალე გამარჯვებისთვის. ეს უკანასკნელი შეტაკებაა გამარჯვების გზაზე დამდგარ შრომისა გახრწნილ ბურჟუაზიასთან.

ამ გრანდიოზულ მსოფლიო სამოქალაქო ომის სათავეში სდგას რუსეთის პროლეტარიატი.

სამი წლის უნახავმა და გაუგონარმა გაჭირვებებმა ვერ შესძლო მოეტეხა ბრძოლაში გამოჭედილ და გამობრძმედილ რუსეთის მუშათა კლასის ნება და ენერგია.

და დღეს ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ამარცხებს საბოლაოთ ყველა ფრონტებიდან გამარჯვებული გამოსული რუსეთის პროლეტარიატი ბარონ ვრანგელს ყირიმში, რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ამ ავანტიურისტს და ინგლისს—საფრანგეთის კაპიტალის აგენტს.

**ამხანაგებო!** ამ გიგანტურ ბრძოლაში რუსეთის მუშათა კლასმა გაიღო კოლოსალური მსხვერპლი.

ამ მსხვერპლში შეტანილია თქვენი წვლილიც. თქვენ თავგანწირულათ ებრძოდით ბრძოლაში და თქვენი სიცოცხლით აღბეჭდავდით თქვენს თავდადებას პროლეტარულ რევოლიუციის საქმისათვის.

ვერც გადასახლებამ, ვერც ციხეებმა, ვერც წამებამ, ვერც დახვრეტამ, ვერ შეარყია ვერც ჩვენი პარტიის სიმტკიცე და სიძლიერე.

საქართველოს კომუნისტური პარტია, რომელსაც დაუსრულებლად აღვრევინებდენ სისხლს, მუდამ სდევნიდენ, ხელახლა ფეხზედ დგებოდა და ახალი ძალით ახალი აღტყინებით ებმოდა ბრძოლაში მუშათა კლასის მტერთან.

**ამხანაგებო!** მოგილოცავთ რა კიდევ ერთხელ დღევანდელ დღესასწაულს, რომელიც რეალური დამამტკიცებელი საბუთია მთელი მსოფლიოს მშრომელთა ახლო-მომავალ განთავისუფლებისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგშიაც ჩვენი პარტია ასეთივე მტკიცეთ იდგომილება თავის რევოლიუციონურ პოსტზე და აგრეთვე მაღლა იქნება აწეული პროლეტარული რევოლიუციონური წითელი დროშა მესამე, კომუნისტური ინტერნაციონალისა!

**გაუმარჯოს მთელ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!**

**გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის საომარ შტაბს—მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!**

**გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდს—რუსეთის პროლეტარიატს.**

**გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!**

**კომუნისტური სალამით**

**ს. კ. პ. ც. კ.**

---

ს. კ. პ. თბილისის გუბკომი გიძღვნით მხურვალე სალამს ყველა სამაზრო და რაიონულ ორგანიზაციებს რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის სამი წლის თავის აღსანიშნავათ. მჭიდროთ შეკავშირეთ თქვენი რიგები! მეტი დისციპლინა და მთლიანობა, მეტი ორგანიზაციული მუშაობა!

იმ დღემ უნდა შეგმატოსთ თქვენს ახალი ძალები და ახალი ენერგია!

**გაუმარჯოს მე-3 კომ. ინტერნაციონალს!**

**გაუმარჯოს, საერთაშორისო კომუნისტურ რევოლიუციას!**

**კომუნ. სალამით ს. კ. პ. გუბკომის პრეზიდიუმი.**

**გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!**

**კომუნისტური სალამით თბილისის საგუბერნიო კომიტეტი.**

---

**ამხანაგებო!** საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი გესალმებათ ყველა რაიონულ ორგანიზაციებს და იაჩეიკებს მშრომელთა ბრწყინვალე დღესასწაულით!

**ამხანაგებო!** ეს ის დღეა, როდესაც რუსეთის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დაიწყო თავისი გმირული ბრძოლა კაპიტალის ბორკილებიდან შრომის განსათავისუფლებლად.

მჭიდროდ შეაკავშირეთ თქვენი რიგები და თქვენკენ მოუხმეთ ყველა მებრძოლებს!

მომავალი ჩვენ გვეკუთვნის!

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას!

კომუნისტური სალამით.

**ს. კ. პ. თბილისის კომიტეტი.**

---

# რევოლიუციის ფრონტები.

## სამხედრო ოპერატიული რადიო ცნობა რესპუბლიკის საველე შტაბის „რევოენსოვეტისა" 4 ნოემბრიდან

## ყირიმის ფრონტი

**პერეკოპის რაიონი.**

პერეკოპის რაიონში მოწინააღმდეგის იერიშები ჩვენი ნაწილების წინააღმდეგ პერეკოპის აღმოსავლეთით ჩვენ მოვიგერიეთ... ვაქციეთ. სწარმოებს არტილერიით და ტყვიის მფრქვევლებით ბრძოლა.

**ჯანკოის მიმართულება.**

მოწინააღმდეგე, რომელმაც კინალამ სანელნიკოვამდის და გენიჩესკამდის მოაღწია, ჩვენ უკუვაქციეთ და ვდევნით, 3 ნოემბერს ჩვენმა ცხენოსნებმა და ქვეითა ნაწილებმა სწრაფი იერიშებით სად. რიკოვო, ნოვო-ალექსეევკა და სალკოვო დაიკავეს. შემდეგ, ჩვენმა ნაწილებმა, გადალახეს რა მოწინააღმდეგის ძლიერი წინააღმდეგობა, სად. ჯიმლუკთან და ჩანგარის ჩრდილოეთით, გმირულათ შეიჭრენ ჩანგარის ნახევარ კუნძულზე. ყველა ჩვენ მიერ დაჭერილი პუნქტები გამაგრებული იყო საუკეთესო იარაღებით და მოწყობილებებით.

ოთხ ნოემბერს წითელმა მსროლელმა ცხენოსანმა ნაწილებმა უკუაქციეს რა მტრის შემოტევა, გადაჭრიდენ და დაიკავეს რკინის გზის და ჩანგრის ხიდი.

სამსა და ოთხ ნოემბრის განმავლობაში ჩვენ წამოვიყვანეთ აუარებელი ტყვეები და ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა. ჯერ-ჯერობით დათვლილია 22 ზარბაზანი, 3 ჯავშნიანი მატარებელი და 40 ათასი ზარბაზნის ყუმბარა.

**გენიჩესკის რაიონი.**

გენიჩესკის რაიონში სწარმოებს მწვავე ბრძოლა მტერთან, რომელიც ფლოტის დახმარების სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევს. **რესპუბლიკის რევოენსოვეტის საველე შტაბის ვოენკომის მაგიერ: კლინი.**

---

**დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი**

სტამბა „ეკონომია" დიდივანქის ქ. № 3.